

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენაში (ინგლისური B2 დონე) და სპეციალობაში. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან წინა საფეხურის კვალიფიკაცია აქვს მიღებული ინგლისურენოვან პროგრამაზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები/ტესტები და ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება სტუ-ის ვებგვერდზე გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მოხილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ალიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანია:

- [ა] შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი ტენდენციების, სამართლის ფილოსოფიური ასპექტების, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული კვლევის მეთოდების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების, სამოსამართლო ეთიკის და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- [ბ] გამოუმუშავოს მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;
- [გ] გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში ნორმის განმარტების, იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების ანალიზის, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების, პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;
- [დ] გამოუმუშაოს სასამართლოში საქმის დამუშავების და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- [ე] გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის დაგეგმვის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო

კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;

- [ვ] გამოუმუშავოს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერიტი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- [ზ] მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშაოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკის, სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

➤ [1] აღწერს:

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
- თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებს და პრინციპებს; სამართლის ფილოსოფიურ ასპექტებს;
- ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, მათ კომპეტენციებს და დამახასიათებელ თავისებურებებს; ევროკავშირის სამართლის სისტემას და მის გავლენას ქართული კანონმდებლობის განვითარებაზე;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ მექანიზმებს;
- პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;
- სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლწარმოების თავისებურებებს;

➤ [2] განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას; სამართლის ღირებულებებისა და პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების ძირითად მიმართულებებს, სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართებას, თანამედროვე ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის დომინანტ სამართლებრივ იდეებს;

➤ [3] აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

➤ [4] განსაზღვრავს სასამართლოში საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს;

➤ [5] განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

➤ [6] ამოიცნობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

➤ [7] ამყარებს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

➤ [8] პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;

➤ [9] მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება.

➤ [10] აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

➤ [11] ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

სისხლის სამართლის მოდულის მიზანია სტუდენტს:

[ა] შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი ტენდენციების, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის შესახებ.

[ბ] გამოუმუშავოს სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;

[გ] გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე სისხლის სამართლის ნორმის განმარტების, იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების ანალიზის, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების, პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;

[დ] გამოუმუშავოს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის დამუშავების და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;

[ე] გამოუმუშავოს სისხლის სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის დაგეგმვის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;

[ვ] გამოუმუშავოს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი;

[წ] მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშაოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკის, სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

სისხლის სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

➤ [1] აღწერს:

- სისხლის სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს;

- სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემებს, ;

- კერძო სამართლის სფეროში პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;

[2] განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას; სამართლის ღირებულებებისა და პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების ძირითად მიმართულებებს, სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართებას, თანამედროვე ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის დომინანტ სამართლებრივ იდეებს;

➤ [3] აანალიზებს სისხლის სამართლის სეროში მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და სისხლის სამართალში პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

➤ [4] განსაზღვრავს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგიას;

➤ [5] განმარტავს სისხლის სამართალში სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

➤ [6] ამოიცნობს სისხლის სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

➤ [7] ამყარებს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

➤ [8] პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;

➤ [9] მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და

უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება.

> [10] აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

> [11] ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

საჯარო სამართლის მოდულის მიზანია სტუდენტს:

[ა] შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი ტენდენციების, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის შესახებ.

[ბ] გამოუმუშავოს საჯარო სამართლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;

[გ] გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საჯარო სამართლის ნორმის განმარტების, იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების ანალიზის, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების, პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;

[დ] გამოუმუშაოს სასამართლოში საჯარო სამართლის საქმის დამუშავების და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;

[ე] გამოუმუშავოს საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის დაგეგმვის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;

[ვ] გამოუმუშავოს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერიტი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი;

[ზ] მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშაოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკის, სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

საჯარო სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

> [1] აღწერს:

- საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს;

- საჯარო სამართლის აქტუალურ პრობლემებს, ;

- საჯარო სამართლის სფეროში პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;

[2] განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას; სამართლის ღირებულებებისა და პრინციპების პრაქტიკაში

გამოყენების ძირითად მიმართულებებს, სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთმიმართებას, თანამედროვე ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის დომინანტ სამართლებრივ იდეებს;

> [3] ანალიზებს საჯარო სამართლის სეროში მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საჯარო სამართალში პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

[4] განსაზრავს სასამართლოში ადმინისტრაციულ დავებზე საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს;

> [5] განმარტავს საჯარო სამართალში სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

> [6] ამოიკნობს საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

> [7] ამყარებს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

> [8] პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;

> [9] მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება.

> [10] აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

> [11] ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი

შეფასებები:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა. კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeб.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი		
1.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	10
2.	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	5
3.	სამოსამართლო ეთიკა	5
4.	ევროკავშირის სამართალი და მისი გავლენა ქართულ სამართალზე	5
5.	სამართლის ფილოსოფია	5
კერძო სამართლის მოდული		
სავალდებულო საგნები - 30 კრედიტი		
6.	შედარებითი კერძო სამართალი	5
7.	სამოქალაქო სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	5
8.	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	5
9.	სამოქალაქო საქმეთა დამუშავება და გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა (პრაქტიკული კურსი)	15
არჩევითი საგნები - 15/30 კრედიტი		
10.	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	5
11.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	5
12.	შრომითი დავები პრაქტიკაში	5
13.	საბანკო და სადაზღვეო დავათა სამართალწარმოება და განხილვის თავისებურებები	5
14.	ინტელექტუალური დავების სამართალწარმოება და განხილვის თავისებურებები	5
15.	საოჯახო და მემკვიდრეობითი დავების სამართალწარმოება და განხილვის თავისებურებები	5

სისხლის სამართლის მოდული		
სავალდებულო საგნები - 30 კრედიტი		
16.	შედარებითი სისხლის სამართალი	5
17.	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	5
18.	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	5
19.	სისხლის სამართლის საქმეთა დამუშავება და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია (პრაქტიკული კურსი)	15
არჩევითი საგნები - 15/35		
20.	სისხლის სამართლის თეორიის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა	5
21.	ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები	5
22.	ეკონომიკური დანაშაული - სამართალშეფარდება და სასამართლო პრაქტიკა	5
23.	კორუფციული დანაშაული - სამართალშეფარდება და სასამართლო პრაქტიკა	5
24.	ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისა და პრევენციის მეთოდოლოგია	5
25.	საერთაშორისო სისხლის სამართალი	5
26.	მტკიცებითი სამართალი	5
საჯარო სამართლის მოდული		
სავალდებულო საგნები - 30 კრედიტი		
27.	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი	5
28.	ადმინისტრაციული სამართალი - თანამედროვე პრაქტიკის აქტუალური საკითხები	5
29.	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	5
30.	ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დამუშავება და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია (პრაქტიკული კურსი)	15
არჩევითი საგნები - 15/45 კრედიტი		
31.	საქმეთა განხილვა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია საკონსტიტუციო სასამართლოში (პრაქტიკული კურსი)	15
32.	თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	5
33.	თანამედროვე საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	5
34.	ევროპული კავშირის საგადასახადო პოლიტიკა და საქართველო	5
35.	პერსონალური მონაცემები და მათი დაცვის მექანიზმები	5
36.	სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის მოდელები	5
37.	დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალი (ინგლისურენოვანი)	5
პრაქტიკული კომპონენტი		
38.	პრაქტიკა	15
39.	იურიდიული კლინიკა	15
თავისუფალი კომპონენტი		
		15

	კვლევითი კომპონენტი:	
	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30